

შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №34
2015 წლის 27 ნოემბერი

დაბა შუახვევი

„შუახვევის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №36 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „შუახვევის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №36 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შუახვევის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნოდარ ქარცივაძე

შუახვევის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი
თავი I

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
დასახელება	სულ	სულ	სულ		
შემოსავლები	5616.155	6843.982	7912.904	606.372	7306.532
გადასახადები	196.540	220.858	915.900	0.000	915.900
გრანტები	5074.723	6242.159	6672.629	606.372	6066.257
სხვა შემოსავლები	344.892	380.965	324.375	0.000	324.375
ხარჯები	3886.835	4076.840	4712.207	9.662	4702.545
შრომის ანაზღაურება	1779.019	1646.055	1412.242	0.000	1412.242
საქონელი და მომსახურება	704.401	731.926	954.990	9.662	945.328
პროცენტი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000



სუმსიდიები	1160.938	1202.135	1421.180	0.000	1421.180
გრანტები	0.000	0.000	204.000	0.000	204.000
სოციალური უზრუნველყოფა	242.477	496.724	239.115	0.000	239.115
სხვა ხარჯები	0.000	0.000	480.680	0.000	480.680
საოპრაციო სალდო	1729.320	2767.142	3200.697	596.710	2603.987
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1523.530	2916.874	4102.043	596.710	3505.333
ზრდა	1523.530	2920.303	4102.043	596.710	3505.333
კლება	0.000	3.429	0.000		
მთლიანი სალდო	205.790	-149.732	-901.346	0.000	-901.346
ფინანსური აქტივების ცვლილება	-856.478	-1052.698	-902.596	0.000	-902.596
ზრდა	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ვალუტა და დეპოზიტი	0.000	0.000	0.000		
სესხები	0.000	0.000	0.000		
კლება	856.478	1052.698	902.596	0.000	902.596
ვალუტა და დეპოზიტი	856.478	1052.698	902.596		902.596
სესხები	0.000	0.000	0.000		
ვალდებულებების ცვლილება	-9.570	-0.370	-1.250	0.000	-1.250
ზრდა	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
საშინაო	0.000	0.000	0.000		0.000
საგარეო	0.000	0.000	0.000		0.000
კლება	9.570	0.370	1.250	0.000	1.250
საშინაო	9.570	0.370	1.250		1.250
საგარეო	0.000	0.000	0.000		
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	მათ შორის	
	სულ	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	5,616.155	6,847.411	7,912.904	606.372	7,306.532
შემოსავლები	5,616.155	6,843.982	7,912.904	606.372	7,306.532
არაფინანსური აქტივების კლება	0.000	3.429	0.000		0.000
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.000	0.000	0.000		0.000



ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.000	0.000	0.000		0.000
ვალდებულებების ზრდა	0.000	0.000	0.000		0.000
გადასახდელები	5,419.935	6,997.513	8,815.500	606.372	8,209.128
ხარჯები	3,886.835	4,076.840	4,712.207	9.662	4,702.545
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,523.530	2,920.303	4,102.043	596.710	3,505.333
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ვალდებულებების კლება	9.570	0.370	1.250	0.000	1.250
ნაშთის ცვლელება	196.220	-150.102	-902.596	0.000	-902.596

მუხლი 3. შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7 912 904 ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	მათ შორის		
	სულ	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	5,616.155	6,843.982	7,912.904	606.372	7,306.532	
გადასახადები		196.540	220.858	915.900	0.000	915.900
გრანტები		5,074.723	6,242.159	6,672.629	606.372	6,066.257
სხვა შემოსავლები		344.892	380.965	324.375	0.000	324.375

მუხლი 4. შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვროს შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახადები 915 900 ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	მათ შორის	
	სულ	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	196.540	220.858	915.900	0.000	915.900
ქონების გადასახადი	196.540	220.858	915.900	0.000	915.900
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	184.507	214.880	909.900		909.900
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.120	0.246	1.000		1.000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	1.114	0.838	0.000		
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	10.799	4.894	5.000		5.000
სხვა გადასახადი ქონებაზე	0.000	0.000	0.000		
სხვა გადასახადი	0.000	0.000	0.000		



მუხლი 5. შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს შუახვევის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გრანტები 6 672 629 ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	მათ შორის	
	სულ	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	5,074.723	6,242.159	6,672.629	606.372	6,066.257
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	1,031.158	1,497.566	1,500.000		1,500.000
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4,043.565	4,611.268	4,839.072	606.372	4,232.700
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3,417.220	4,009.700	4,232.700	0.000	4,232.700
გათანაბრებითი ტრანსფერი	3,417.220	4,009.700	4,232.700		4,232.700
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	626.345	601.568	606.372	606.372	0.000
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	626.345	601.568	606.372	606.372	
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	0.000	0.000	0.000		
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.000	0.000	0.000		
სხვა ტრანსფერები	0.000	133.325	333.557		333.557

მუხლი 6. შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 324 375 ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	მათ შორის	
	სულ	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	344.892	380.965	324.375	0.000	324.375
შემოსავლები საკუთრებიდან	202.990	271.079	169.200	0.000	169.200
პროცენტები	135.603	184.698	101.400	0.000	101.400
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	135.603	184.698	101.400		101.400
რენტა	67.387	86.381	67.800	0.000	67.800



მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	67.022	86.153	67.800		67.800
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა)	0.365	0.228	0.000		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	5.178	22.158	15.200	0.000	15.200
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	-20.029	10.264	10.200	0.000	10.200
სანებართვო მოსაკრებელი	0.751	0.110	1.000		1.000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	0.751	0.110	1.000		1.000
სახელმწიფო ბაჟი	0.000	0.000	0.000		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.063	0.032	0.000		
სატენდერო მოსაკრებელი	0.000	0.000	0.000		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.000	0.000	0.000		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	-27.955	0.000	0.000		
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	7.175	10.122	9.200		9.200
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	25.144	11.894	5.000	0.000	5.000
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	25.144	11.894	5.000	0.000	5.000
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	0.000	0.000	0.000		
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	25.144	11.894	5.000	0.000	5.000
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა)	11.902	11.894	5.000		5.000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	13.242	0.000	0.000		
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	129.441	81.809	139.975		139.975
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	7.283	5.919	0.000		

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 4 712 207 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა		
				მათ შორის	
დასახელება	სულ	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



ხარჯები	3,886.835	4,076.840	4,712.207	9.662	4,702.545
შრომის ანაზღაურება	1,779.019	1,646.055	1,412.242	0.000	1,412.242
საქონელი და მომსახურება	704.401	731.926	954.990	9.662	945.328
პროცენტი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
სუბსიდიები	1,160.938	1,202.135	1,421.180	0.000	1,421.180
გრანტები			204.000	0.000	204.000
სოციალური უზრუნველყოფა	242.477	496.724	239.115	0.000	239.115
სხვა ხარჯი	0.000	0.000	480.680	0.000	480.680

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4 102 043 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4 102 043 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	49.840	18.523	84.800	0.000	84.800
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1.470	205.190	0.000	0.000	0.000
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	990.534	2288.005	3428.838	596.710	2832.128
განათლება	9.532	122.925	461.335	0.000	461.335
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	467.483	280.175	127.070	0.000	127.070
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4.671	5.485	0.000	0.000	0.000
ჯამი	1523.530	2920.303	4102.043	596.710	3505.333

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით:

2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	მათ შორის
-----------------	-----------------	-----------------	-----------



დასახელება	სულ	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივები	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ძირითადი აქტივები	0.000	0.000	0.000		
არაწარმოებული აქტივები	0.000	0.000	0.000		

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
 განისაზღვროს შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

გადასახდლების (ხარჯების) დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,695.634	1,631.181	2,116.703	0.000	2,116.703
ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,695.634	1,611.604	1,942.756	0.000	1,942.756
ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,597.734	1,506.137	1,824.756		1,824.756
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	97.900	105.467	118.000		118.000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.000	19.577	173.947		173.947
თავდაცვა	92.214	92.219	74.590	0.000	74.590
სამოქალაქო თავდაცვა	92.214	92.219	74.590		74.590
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	239.592	463.830	235.520	0.000	235.520
პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.000	0.000	0.000		0.000
სახანძრო სამსახური	239.592	463.830	235.520		235.520
ეკონომიკური საქმიანობა	155.932	180.067	179.173	0.000	179.173
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა					
ტრანსპორტი	28.000	44.999	179.173		179.173
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში	127.932	135.068	0.000		0.000
გარემოს დაცვა	107.920	225.480	103.250	0.000	103.250
ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	95.345	102.831	95.000		95.000
ჩამდინარე წყლების მართვა	12.575	122.649	8.250		8.250



საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,196.761	2,378.188	3,586.614	0.000	3,586.614
კომუნალური მეურნეობის განვითარება	121.663	319.074	246.029		246.029
წყალმომარაგება	291.122	1,310.522	2,162.587		2,162.587
გარე განათება	54.985	48.269	432.626		432.626
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	728.991	700.323	745.372		745.372
ჯანმრთელობის დაცვა	70.430	81.261	127.645	0.000	127.645
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება					
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	70.430	81.261	127.645		127.645
დასვენება, კულტურა და რელიგია	1,094.466	934.505	735.670	0.000	735.670
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	562.411	275.297	253.070		253.070
მომსახურება კულტურის სფეროში	455.835	498.475	467.600		467.600
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	8.274	14.035	15.000		15.000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	67.946	146.698	0.000		0.000
განათლება	521.109	659.937	1,122.985	0.000	1,122.985
სკოლამდელი აღზრდა	318.062	330.637	721.575		721.575
ზოგადი განათლება	0.000	0.000	0.000		
განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0.000	0.000	0.000		
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	203.047	329.300	401.410		401.410
სოციალური დაცვა	236.307	350.475	532.100	0.000	532.100
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომელიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	34.153	31.585	23.600		23.600
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	202.154	318.890	508.500		508.500
სულ ბიუჯეტის გადასახდელები	5,410.365	6,997.143	8,814.250	0.000	8,814.250

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 902 596 ლარის ოდენობით

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -902 596 ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება -902 596 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -1250 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100000 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.



მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 02 00

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება, რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის საქმიანობის ხელშეწყობას.

1.2 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 02)

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია შემდგომი ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, მისი ექსპლოატაცია ეფექტურობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, სანიტარიული დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავება, მაწანწალა ცხოველებთან და მღრნელებთან ბრძოლა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

შუახვევის მუნიციპალიტეტი მაღალმთიან რეგიონს განეკუთვნება, ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, ამ კუთხით კათვალისწინებულია რამდენიმე სოფლებში გზების რეაბილიტაცია, რაზეც გამოყოფილია 179173 ლარი.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემას.

2.2.1 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე



განათების არსებული ქსელის (სულ 482 სანათი წერტილი) ექსპლოატაცია. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია ხიჭაური ჭვანის და ზამლეეთის მიმართულებით გარეგანათების ახალი ქსელის მშენებლობა, ასევე ციხეებზე მოეწყობა ახალი განათების წერტილები.

2.2.2 დასუფთავების ღონისძიებები

(პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სანიტარიული დასუფთავების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ორი ღონისძიება 95000 ლარის ღირებულების.

1. დაბისა და ხიჭაურის ტერიტორიის დასუფთავება.
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება – 81992 კვ.მ, მწვანე საფარის დასუფთავება–39700 კვ.მ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა – 1000 მ³, კონტეინერების მოვლა-პატრონობა 40 ცალი.

აგრეთვე, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მეუბოვეებისა და კომუნალურში მომსახურეთა უნიფორმით უზრუნველყოფა.

2.2.2.1 უმეტადასუფთავების დარჩენილი ცხოველების იზოლაცია

(პროგრამული კოდი 03 02 02 02)

პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური ცხოველების განუყოფელ ნაწილს. იგი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ეხება სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვას, მაწანწალა ცხოველებთან ბრძოლას. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გაუვნებლება. რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. დასახლებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვას, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისადა ჩამოსულ სტუმართა კეთილდღეობას.

2.2.3 წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები

(პირობითი კოდი 03 02 03)

მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. უნდა აღინიშნოს რომ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. მუნიციპალური მომსახურების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სულ მუნიციპალიტეტში 13 მაგისტრალია და საჭიროების შემთხვევაში უტარდება მიმდინარე რემონტი. 2015 წელში დაგეგმილია ასევე მუნიციპალიტეტის 4 სოფელში სამი ახალი მაგისტრალის მშენებლობა 1487000 ლარის. ხიჭაურში დაგეგმილია სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზის მშენებლობა 60000 ლარის. ასევე მოსახლეობის სასმელი წყლის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია 67000 ლარის სასმელი წყლის მიღების შექმნა. წყალმომარაგების სისტემის გამართული მუშაობისა და გაუთვალისწინებელი შემთხვევების აღმოფხვრისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „შუახვევის წყალკანალი“, სადაც დასაქმებულია 32 თანამშრომელი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის სარწყავი წყლით უზრუნველყოფისათვის ფუნქციონირებს სარწყავი არხების მოვლა-შენახვის პროგრამა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 39 სარწყავი არხი, სადაც დასაქმებულია (4 თვის განმავლობაში) 53 კაცი, რომლებიც უზრუნველყოფენ 243 კმ სიგრძის არხების მოვლა-პატრონობას. აღნიშნული არხებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის სოფლების 3110 ოჯახი. ასევე სოფლებში მოეწყობა სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზების მშენებლობა.

2.2.4 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი სამუშაოები



(პროგრამული კოდი 03 02 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბის კეთილმოწყობის ღონისძიებები: კერძოდ, მოეწყობა დაბისა და ხიჭაურის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების გარე ფასადების კეთილმოწყობა, რაზეც გათვალისწინებულია 136000 ლარი. სოფელ ჯაბნიძეებში აშენდება სოფლის სახლი, ხოლო რამდენიმე სოფლის სახლს ჩაუტარდება რემონტი

2.3 გამწვანების ღონისძიებები

(პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შესაქმნელად მეტად მნიშვნელოვანია დაბის ტერიტორიის გამწვანება და ნარგავების მოვლა-პატრონობა. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დაბის ტერიტორიაზე ნარგავების გაშენებას და არსებული ნარგავების მოვლა-პატრონობას(მორწყვას, გასხვლას) მუნიციპალიტეტის არსებული მწვანე საფარის დასუფთავებას. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ნერგის დარგვა; მწვანე საფარის გასხვლა-გაწმენდა; ნარგავების თოვლისაგან გაწმენდა.

3. საგანმანათლებლო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

3.1 სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი განათლების 2015 წლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 420575ლარს. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 5 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 200 ბავშვი. სამტატო რიცხოვნობა 2015 წლისათვის შეადგენს 67 ერთეულს. დაგეგმილია სამი ახალი ბაღის მშენებლობა.

3.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ნიგაზეულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა, რაც აღნიშნულ სოფლებში სკოლების სიშორის გამო არის გამოწვევული. ყოველივე ეს გააუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლის, განათლების და ჯანმრთელობის დაცვისათვის სათანადო პირობებს. აშენდება სოფელ პაპოშვილებში არასრული საშუალო და ერთდვითის დაწყებითი სკოლა 135000 ლარის ღირებულებით.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.



2015 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, დაფინანსდება: საფეხბურთო კლუბი „მერანი“ და აიპი „შუახევის სასპორტო სკოლა“, ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით დაბა შუახევში ფუნქციონირებს რაგბის ორი წრე, სადაც დაკავებულია 36 ბავშვი. აღნიშნული სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ჭიდაობის (ქართული, ძიუდო და თავისუფალი ჭიდაობა) წრეები სადაც დაკავებულია 163 ბავშვი და სათხილამურო სპორტის 5 ჯგუფი, რომელშიც ასევე 82 ბავშვი ვარჯიშობს. აღმზრდელ-მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 17-ს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

პროგრამის ფარგლებში 2015 წელს დასრულდება ფურტიოს რაგბის მოედანი. ასევე სოფელ წაბლანა-ნადვარევი ლომანაური მოეწყობა ახალი სპორტული მოედნები, დასრულდება სოფელ ნენიის სპორტულ მოედანზე შავი საფარის დაგება. მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურული დანიშნულების ქსელის გაფართოება. თანამედროვე დონის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. არსებული საშუალებების მაქსიმალურად ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის სათანადო პირობების შექმნა. დაგეგმილია ასევე ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია.

4.2.1 ა(ა)იპ „შუახევის კულტურის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 02 01)

შუახევის კულტურის ცენტრი აერთიანებს მუნიციპალიტეტში მოქმედი სხვადასხვა ფოლკლორულ და ვოკალურ ანსამბლებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სახელმწიფო აკრედიტაცია და აქვთ საკმაოდ დიდი მიღწევები, კულტურის ცენტრში აგრეთვე მოქმედებს დრამატურგიისა და ნორჩ დეკლამატორთა შემსწავლელი წრე, ლიტერატურისა და ტურიზმის, ხელოვნების, ქსოვის, ქარგვის, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხატვისა და დაწყებითი მოდელირების წრეები, რომელთაგან 50 მოსწავლეა ჩართული. ყოველივე აქედან გამომდინარე, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრის მიმდინარე ხარჯები ანსამბლების ფორმებითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა, სხვადასხვა ფოლკლორულ ღონისძიებებში და გამოფენებში მონაწილეობა.

4.2.2 ა(ა)იპ „შუახევის სახელოვნებო სკოლა“

(პროგრამული კოდი 05 02 02)

აიპი - შუახევის „სახელოვნებო სკოლაში“ ამჟამად სწავლობს 84 ბავშვი, წლიური შენატანი თითოეულ ბავშვზე შეადგენს არსებობს სამი ჯგუფი: საფორტეპიანო, საორკესტრო და ხალხური ჯგუფები, სკოლაში მუშაობს 12 პედაგოგი. ყოველივე აქედა გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ახორციელებს სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფას.

4.2.3 ახალგაზრდული პროგრამების და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა



მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

(პროგრამული კოდი 06 01)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ამ კუთხით მუნიციპალიტეტში მოქმედებს 3 მიზნობრივი პროგრამა, რაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას.

5.1.1 ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების (ეპილეფსიით)მედიკამენტური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 01)

ეპილეფსია ქრონიკული ნერვულ-ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება განმეორებითი გულყრებით. ეპილეფსიის სიხშირე მაღალია როგორც ბავშვებში, ისე მოზარდებში, რაც გამოწვეულია თავის ტვინის მთელი რიგი ასაკობრივი თავისებურებებით. დაავადების მიმდინარეობის მთავარი პრინციპი ანტი ეპილეფსიური მედიკამენტების სისტემატიური მიღებაა, დროული მედიკამენტოზური ჩარევის გარეშე დაავადება იწვევს ინვალიდობას ან შეიძლება დამთავრდეს ფატალური შედეგით. შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო წლებში ეპილეფსიით დაავადებულ მოქალაქეთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რომლებიც არიან უკიდურესად გაჭირვებულები და აღნიშნულის პრევენციის მიზნით ხდება, საჭიროებისამებრ, მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

5.1.2 აიპ შუახვევის სოციალური მომსახურების სერვის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 04)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული იქნა შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ამბულატორიების ტრანსპორტითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მდებარე თემები და სოფლები მნიშვნელოვნად დაშორებულია დაბის ცენტრთან, მოსახლეობის პირველადი სამედიცინო მომსახურებისა და ამბულატორიების მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის აღნიშნული პროგრამით შესაძლებელი იქნება თემებში მდებარე ამბულატორიების მედიკამენტებით უზრუნველყოფა და თემებში დასაქმებული მედპერსონალის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რითაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობას გაეწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ამბულატორიებს გადაეცემათ 8 ავტომობილი–ნივა, რომელიც მოსახლეობაზე პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით უზრუნველყოფს ამბულატორიის მედპერსონალის ტრანსპორტირებას.

5.1.3 პარკისონით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 07)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული იქნა პროგრამა შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები პარკინსონით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

5.2 სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 02 01)



უფასო სასაბუღალტრო პროგრამით სარგებლობენ შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი უკიდურესად გაჭირვებული, მარტოხელა, მზრუნველობამოკლებული და უმწეო მდგომარეობაში მყოფი 42 ბენეფიციარი. ხორციელდება ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფა.

5.2.2 პირველი და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება ზემოაღნიშნული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებას:

პირველი შვილის შეძენის შემთხვევაში 300 ლარი;

მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში 400 ლარი;

- მესამე შვილის შეძენის შემთხვევაში 500 ლარი;
- მეოთხე შვილის შეძენის შემთხვევაში 700 ლარი;
- მეხუთე და მომდევნო შვილის შეძენის შემთხვევაში 900 ლარი;

5.2.3 ხუთ და მეტ 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 05)

მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში 25 მრავალშვილიანი ოჯახს გაეწევა დახმარება, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.

5.2.4 სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის დახმარების გაცემა, თითოეულ ოჯახზე 250 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში).

5.2.5 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ყოველთვიური მატერიალური დახმარებები (პროგრამული კოდი 06 02 10)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა. აღნიშნული პროგრამით სარგებლობს 4 ბავშვი.

5.2.6 შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზზე მყოფი ავადმყოფების ტრანსპორტირების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 11)

პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის ქ. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების სატარებლად ტრანსპორტირებისათვის ფინანსურ დახმარებას. აღნიშნული ბენეფიციარები ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და არ აქვთ ტრანსპორტირების ხარჯები. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვან მხარდაჭერას წარმოადგენს.

5.2.7 შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული სოფელ ჩანჩხალოს მოსახლეობაზე დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 13)

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სოფელ ჩანჩხალოში მცხოვრებ სტიქიის შედეგად დაზარალებულ 66 ოჯახზე ერთჯერად დახმარების (კომპენსაცია) გაცემას შესაბამისი გეოლოგიური დასკვნების და ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად, რითაც გაუმჯობესდება მათი ყოველდღიური ცხოვრების პირობები.

თავი III

შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 16. შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა
			მათ შორის



პროგრამული კოდი	დასახელება	სულ	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
1	შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებანი	5419.935	6997.513	8815.500	606.372	8209.128
	მომუშავეთა რიცხოვნობა	172.000	108.000	105	0	105
	ხარჯები	3886.835	4076.840	4712.207	9.662	4702.545
	შრომის ანაზღაურება	1779.019	1646.055	1412.242	0.000	1412.242
	საკონელი და მომსახურება	704.401	731.926	954.990	9.662	945.328
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	44.051	66.220	46.500	0.000	46.500
	მივლინებები	17.911	21.658	20.440	0.000	20.440
	ოფისის ხარჯები	130.356	98.897	115.828	9.662	106.166
	წარმომადგენლობითი ხარჯი	7.546	6.167	6.200	0.000	6.200
	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	0.000	5.371	0.000	0.000	0.000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	114.946	126.171	113.070	0.000	113.070
	სხვა დანარჩენი საკონელი და მომსახურება	389.591	407.442	652.952	0.000	652.952
	სუბსიდიები	1160.938	1202.135	1421.180	0.000	1421.180
	გრანტები	0.000	0.000	204.000	0.000	204.000
	სოციალური უზრუნველყოფა	242.477	496.724	239.115	0.000	239.115
	სხვა ხარჯები	0.000	0.000	480.680	0.000	480.680
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1523.530	2920.303	4102.043	596.710	3505.333
	ვალდებულებების კლება	9.570	0.370	1.250	0.000	1.250
01 00	წარმომადგენლობითი და ადმინისტრულური ორგანოების დაფინანსება	1976.900	1934.204	2117.953	0.000	2117.953
	მომუშავეთა რიცხოვნობა	142.000	78.000	100	0	100
	ხარჯები	1920.184	1915.311	2031.903	0.000	2031.903
	შრომის ანაზღაურება	1491.608	1344.157	1356.112	0.000	1356.112
	საკონელი და მომსახურება	349.736	359.628	553.066	0.000	553.066
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	40.195	56.888	40.900	0.000	40.900
	მივლინებები	15.800	19.157	18.440	0.000	18.440



	ოფისის ხარჯები	118.423	91.613	101.826	0.000	101.826
	წარმომადგენლობითი ხარჯი	7.546	6.167	6.200	0.000	6.200
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	92.321	106.326	103.690	0.000	103.690
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	75.451	79.477	282.010	0.000	282.010
	სუბსიდიები	78.840	88.452	0.000	0.000	0.000
	სოციალური უზრუნველყოფა	0.000	123.074	4.725	0.000	4.725
	სხვა ხარჯები	0.000	0.000	118.000	0.000	118.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	49.840	18.523	84.800	0.000	84.800
	ვალდებულებების კლება	6.876	0.370	1.250	0.000	1.250
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	436.369	515.244	544.245	0.000	544.245
	მომუშავეთა რიცხოვნობა	17.000	21.000	22	0	22
	ხარჯები	430.766	509.712	532.845	0.000	532.845
	შრომის ანაზღაურება	295.505	353.365	445.652	0.000	445.652
	საქონელი და მომსახურება	56.421	63.615	87.193	0.000	87.193
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	4.200	4.200	5.200		5.200
	მივლინებები	4.192	4.080	4.000		4.000
	ოფისის ხარჯები	15.402	16.891	21.020		21.020
	წარმომადგენლობითი ხარჯი	2.111	2.199	2.200		2.200
